საქართველოს სოც.-ფედერალისტ. სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტ. ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოციალისტ-ფედერალისტი

№ 4 1921 წ. ხუთშაბათი მარტი 3 № 4

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—30

## ტფილისი, მარტის 3

საბჭოთა სისტემა, ფედერალიზმი, კომუნიზმი—აი ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედონ განახლებულ საქართველოს. შემოვიდა ეს პრინციპები ხმარებაში ჩვენში გადატრიალების შემდეგ? დავიწყოთ საბჭოთა სისტემიდან. საბჭოთა სისტემა კონკრეტული ფორმაა მშრომელთა ბატონობისა. თეორიაში მასზე ბევრი თქმულა რევოლუციამდე და არც ერთი მარქსისტული ჯგუფი თეორიაში მას არ უარყოფდა, მხოლოდ განსხვავება იყო იმის გაგებაში, თუ როდის დადგება მომენტი ე. წ. პროლეტარიატის დიქტატურისა. არც მენშევიკები უარყოფდნენ პროლეტარიატის დიქტატურას რევოლუციამდე, ხოლო რევოლუციამ სრულიად მოშალა მენშევიკური აზროვნობა. ეს სენი საერთაშორისო მოვლენად იქცა იმპერიალიზმმა შთანთქა კაპიტალისტური ეკონომიკის საძირკველი და მშრომელი მასა ხელცარიელი დასტოვა. ამან მეტად მძიმე პირობები შექმნა სოციალისტურ რევოლუციისათვის და ძველი კატეხიზმობით გაზეპირებული ფორმულები სოციალურ გარდაქმნისა დაამსხვრია. ზოგი ეკონომიურ გაძვალტყავებისაგან განსაცვიფრებლად ერთად-ერთ გზათ თვლიდნენ კლასთა თანამშრომლობას—ამ ნიადაგზე წარმოიშვა ე. წ. დემოკრატიის პრინციპი; მეორენი არაფერს მოელოდნენ კლასთა თანამშრომლობისაგან და საჭიროდ სთვლიდნენ, რომ ეკონომიურ ცხოვრების მოწესრიგების ხელმძღვანელობა თვით მშრომელთა ხელში გადასულიყო ამ ნიადაგზე წარმოიშვა დიქტატურის პრინციპი.

ჩვენ არასოდეს არ ვფიქრობდით, რომ ბურჟუაზია გაასწორებდა დაბეჩავებულ ეკონომიურ ცხოვრებას, ამიტომაც იყო, რომ რამდენადაც შეიძლებოდა ჩვენ ვებრძოდით კერძო ინიციატივის გაბატონებას ეკონომიკაში და მოვითხოვდით წარმოების მონოპოლიზაციას და ნაციონალიზაციას უკანასკნელს კონფერენციაზე ჩვენ ეს აზრი ავატარეთ კიდეც სახელმძღვანელო რეზოლუციებში. რაც შეეხება პროლეტარიატის დიქტატურას იგი ჩვენში სახელმძღვანელო პრინციპი იქნება დღეს და არა ფაქტი, ვინაიდან ჩვენს წვრილ-სამეურნეო ულეხურ ქვეყანაში არაა პირობები ფაქტიური დიქტატურისა, რადგან ჩვენში არ არის ორი თავარი პირობა: არც მსხვილი ბურჟუაზია და არც ტიპიური პროლეტარიატი. ჩვენი ქვეყანა წვრილ ბურჟუაზიული ქვეყანაა და მშრომელთა ბატონობის პრინციპი ეკონომიკაში მიიღებს ეკონომიკის ნაციონალიზაციის ხასიათს სწორედ იმ სახით, რა სახითაც ჩვენ ეს ყოველთვის გვესმოდა. ამიტომ ჩვენ ვიყავით და დღესაც ვრჩებით დიქტატურის მომხრე იმ აზრით, რომ სრულიად მიუდგომლად ვსთვლით ბურჟუაზიის თაოსნობას და ვიდებთ მშრომელთა თაოსნობას.

აქედან დღესავით ნათელია, რომ დიქტატურის ცნება ჩვენთვის ყოველთვის მისაღები იყო და იგი ჩვენ არავისგან არ გვისესხებია, მით უმეტეს არ გვისესხებია ბოლშევიკებისაგან, მართალია, დღეს ბოლშევიკები მრეწველობა-წარმოების სრული ნაციონალიზაციის მომხრენი არიან და პროლეტარიატი ძალაუფლების მქონეა არა მარტო იმიტომ რომ გამოიყენოს აპარატი ეკონომიურ ურთიერთობისათვის, არამედ თვით უდგას სათავეში მთელი სახელმწიფო ეკონომიკას, მაგრამ იმ თავით ბოლშევიკები უფრო ნაკლებ აქტივობას იჩენდენ ეკონომიურ პოლიტიკაში.

საკმაოდ დიდხანს ბოლშევიკების ეკონომიური პოლიტიკა „მუშათა კონტროლით“ ამოიწურებოდა და ეს სწორედ ის დრო იყო, როდესაც ჩვენ წამოყენებული გვქონდა პრინციპი აქტუალური სოციალიზმისა. ბოლშევიკები, როგორც მარქსისტები, მაშინ საკმაოდ სთვლიდნენ ამ ზვარს ასე ვსთქვათ „პასიურ სოციალიზმს“ ისტორიული აუცილებლობის რწმენით. შემდეგმა ხანამ ისინი დაარწმუნა, რომ ისტორიული აუცილებლობა მისით არაფერს გააკეთებს და იმ თვალსაზრისს დაადგნენ, რომელსაც ჩვენ სრულიად დამოუკიდებლად ვადექით.

„კონტროლი“ რა თქმა უნდა არ კმაროდა, მშრომელი მასა თვით უნდა ჩარეულიყო აქტიურად ეკონომიურ ცხოვრებაში რამდენადაც საამისოდ პოლიტიკური ბატონობა იყო საჭირო, იმდენად ამ თუ იმ ფორმით მშრომელი მასსის პოლიტიკური ბატონობაც უნდა განხორციელებულიყო. რევოლუციამ მშრომელთა მასსის ბატონობის ფორმად საბჭოთა სისტემა აღიარა, რომელიც საერთა შორისო ლოზუნგად იქცა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენშიაც როგორც სისტემა, როგორც ფორმა ეკონომიკის ნაციონალიზაციისა ეს მისაღებია, თუმცა ზემოდ აღნიშნული თავისებურობა ჩვენი ქვეყნისა მას ასეთვე [illegible] მისცემს.

ასეთი იყო და არის ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე. ფედერალიზმზე და კომუნიზმზე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

## ბრძანება ქალ. ტფილისის და მისი რაიონის გარნიზონსადმი № 2.

თებერვლის 26-ს 1921 წ.

§ 1) ქალაქ ტფილისის და მისი რაიონის გარნიზონის უფროსად დაინიშნა მე-20 დივიზიის უფროსი ამხ. ველიკანოვი, რომელსაც ებრძანება მიიღოს სასტიკი ზომები ქალაქში ძარცვა-გლეჯის და სახაზინო ქონების გატაცების წინააღმდეგ. გიბრძანებთ, ყველა, ვინც შემჩნეული იქნება ძალდატანებაში და გაძარცვაში, გადასცეს სამხედრო სარევოლიუციო ტრიბუნალს.

§ 2) ქალაქ ტფილისი და მისი მიდამოები გამოცხადებულია სამხედრო წესებზე. ქუჩებში სიარული ნება დართულია ღამის 10 საათამდის. სიარული ნაჩვენებ დროის შემდეგ ნება დართულია მხოლოდ სიარულის საგანგებო ნებართვით, რომელსაც იძლევა ქალაქის კომენდანტი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სამხედრო და საზღვაო საქმეების სახალხო კომისარი შ. ელიავა.

მე II რაზმის უფროსი გეკკერი.

## ახალი ამბები

— მენშევიკების კრება. მარტის 4 ნაშუადღევის 4 საათზე ყოფილ ქალაქის საბჭოს სხდომის დარბაზში დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს.-დ. მენშევიკურ ფრაქციის და ყველა მენშევიკების კრება.

— რუსოვეტი. საქართველოს რუსთა ეროვნულ საბჭოს „უპრავის“ დადგენილებით ხსენებული საბჭო გაუქმდა და შესდგა სალიკვიდაციო კომისია, ხარევიზიო კომისიის და „უპრავის“ შემადგენლობით.

— განცხადება. მე 73 პოლკის ზავხოზი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან დაკარგა თითბრის ლუქის ბეჭედი პოლკის მოლარის ღერბით. ხსენებული ბეჭედი გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

— სოციალური დახმარება. ქალაქის სოციალურ დახმარების განყოფილების გამგედ დაინიშნა ნ. ს. ატაბეგოვ-ტუმასი.

— ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის მოსამსახურეთა მთელი შემადგენლობა, გარდა თავმჯდომარე ნ. ზ. ელიავასი, ამხ. მ. რუსიასი, განყოფილებათა გამგეების: ჯაფარიძისა და არდიშვილისა, ყველანი თავიანთ ადგილებზე დარჩნენ. ქალაქთა კავშირის საქმეთა კომისრად რეორგანიზაციამდე დაინიშნა ექ. ი. ხოშილავა; კომერციულ და სატყეო განყოფილებათა გამგეთ ნ. ი. ფალიევი.

— ტფილისის პოლიტეხნიკუმში. მარტის 5 დაიწყება ლექციების კითხვა და პრაქტიკული მეცადინეობა. რევკომის მიერ პოლიტეხნიკუმის რწმუნებულად დანიშნულ ა. ბაბოვის თაოსნობით შესდგა სასწავლებელთა დაცვის ბიურო, რომელშიაც შედის პოლიტეხნიკუმის 17 სტუდენტი და „ჯანჩაკ“-ის პარტიის წევრნი. ბიუროს წევრებმა ბევრ ადგილას იარაღის საწყობები აღმოაჩინეს. მე 11 არმიის პოლიტგანყოფილების წევრის ამხ. როზენფელდის თანდასწრებით 28 თებერვალს პოლიტეხნიკუმში შესდგა სტუდენტთა საერთო კრება. საპატიო თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნენ: ამხ. ლენინი და ტროცკი. მიმდინარე მომენტზედ ამხ. როზენფელდის მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც გამოთქმულია ერთგულობა საბჭოთა მთავრობისა, წითელ არმიისა და მე 3 ინტერნაციონალისადმი. რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ პოლიტეხნიკუმის სტუდენტები მთელი თავისი ძალღონით ხელს შეუწყობენ საბჭოთა მთავრობის გამტკიცებას.

— თებერვლის პოლიტეხნიკუმის სტუდენტთა საერთო კრებამ აირჩია დროებითი რევოლიუციონური კომიტეტი, 7 კაცის შემადგენლობით.

პროფეს. კავშირებში. მელითონეთა პროფესიონალურ კავშირმა მიმართა ყველა ამიერ კავკასიაში მყოფ. ლითონზე მომუშავე წარმოებებს შემდეგ მოწოდებით: „ამხანაგებო მელითონეთა გაერთიანებულ პროფესიონალურ კავშირის მოქმედების აღსადგენად შესდგა კავშირის დროებითი მმართველობა შემდეგი შემადგენლობით: ამხ. აგადჟანოვი, ელბაკინი, მაქსიმოვი, მამალაძე და ლეზვინი. პირველ სხდომაზე დროებითმა მმართველობამ დაადგინა: 1) მიღებულ იქმნას ყველა ზომები საერთო კრების სასწრაფო მოწვევისათვის, კავკასიაში გამგეობის ასარჩევად. 2) წინადადება მიეცეს ყველა, ამიერ კავკასიაში მყოფ, კომიტეტებს, ენერგიულად განაგრძონ თავიანთი მუშაობა, ახალ გამგეობის არჩევამდის. 3) სამ. წარმოებას, რომელშიდაც ამიერ კავკასიის კომიტეტები, აღარ არსებობს იქნენ არჩეულნი. ეს უკანასკნელნი. 4) შაბათისთვის მარტის 5-თვის იქნენ მოწვეულნი სათათბიროდ ამიერ კავკასიის კომიტეტების ყველა წევრები.

— რუსთა ეროვნული საბჭო. ტფილისის რევკომმა თებერვლის 28 სხდომაზე მოიწონა და ნება დართო გამოქვეყნებინათ შემდეგი რუსთა ეროვნულ საბჭოს ცნობა: „საქართველოში ნაციონალურ ტენდენციების ბატონობის და ნაციონალობის მიხედვით რესპუბლიკის დემოკრატიის დაყოფის დროს, საქართველოში მყოფმა რუს მოქალაქეებმა დაარსეს სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად რუსთა ეროვნული საბჭო. დღეს კი, როდესაც ძალა-უფლება გადავიდა ახალ მთავრობის ხელში, რომელიც ქმნის მმართველობას ახალ საფუძველზე, და იძლევა ყველა ერთათვის კანონის წინაშე თანასწორობის გარანტიას საბჭოს არსებობას მომავალში მნიშვნელობა აღარა აქვს; ამისდა მიხედვით რუს საბჭომ და გამგეობამ თებერვლის 25 სხდომაზე დაადგინა: 1 საქართველოში არსებული რუსთა ეროვნული საბჭო დაიხუროს, 2) რუს საბჭოს მთელ ქონება აღწერილი გადაეცეს მომხმარებელ საზოგადოებათა მმართველობას, იმ ნივთების გამოკლებით, რომელიც გადაცემულია ტეხნიკუმის მოსაწყობად. 3) ყველა საანგარიშო საბუთები გადაეცეს სალიკვიდაციო კომისიას, რომელშიაც შედიან ი. ა. გლოტოვი. მ. პ. ნოლნიკოვი და ოლ. უტკინი.

## სოც.-ფედ. პარტიაში

პარასკევს, მარტის 3-ს საღამოს 5 საათზე დანიშნულია საზოგადო პარტიული კრება ვერის უბნის წევრების, პარტიულ ბიუროს დარბაზში (ოლღას ქუჩა № 20), რომელზედაც დასწრება მთავარ კომიტეტის წევრი ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

## თბილისის რევკომის განცხადება.

1. ჯარის ნაწილები ხშირად მიმართავენ თბილისის რევკომს საკანცელარიო ხელსაწყობისთვის. რევკომი სთხოვს ასეთი თხოვნებით მიმართონ ხოლმე მე-11 არმიის ჩუსსნაბარს, სასახლეში № 6.

2. რევკომი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყოველ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა უადგილოდ დარჩენილმა მოსამსახურეებმა უნდა მიმართონ ადგილის მისაღებად ძველ დაწესებულებათა მაგიერ შემდგარ ახალ დაწესებულებებს.

3. პროვოკაციულ ხმების უარსაყოფად ქ. თბილისის ყველა დაწესებულებათა საყურადღებოთ რევკომი აცხადებს, რომ საქმის წარმოება შემდეგშიაც უნდა სწარმოებდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

თფილისის რევკომი.

კომისრების დანიშვნა. თფილისის რევკომმა 28 თებერვლის სხდომაზე დაადგინა: დაინიშნოს ქალაქის თვითმართველობის ფინანსიური განყოფილების კომისრათ ამხ. დ. ქურქაშვილი. თფილისის ხაზინის კომისრათ ამხ. ბერძენიშვილი. წითელი ჯვრის საქმეების გამგეთ ამხ. მდივანი, სავანგებო დავალებების აღმასრულებლის ამხანაგათ ამხ. დ. დოლიძე, სომეხთა კლუბის (მიხაილოვის პროს.) კომისრათ ამხ. სარდარიანი.

მიტინგები და უფასო წარმოდგენები. თფილისის რევკომმა 28 თებერვალს სხდომაზე დაადგინა: კვირას დილით ქალაქის ყველა კუთხეებში გამართულ იქნას მიტინგები, საღამოს კი უფასო წარმოდგენები ყველა თეატრებში და გასართობ ადგილებში მუშების და წითელი რაზმელებისათვის. ამ დადგენილებების ასრულება დავალებულ აქვთ ამხ. ანანოვს და ამხ. ვართანიანს.

ნავთის დარიგება. თფილისის რევკომმა დაადგინა წინადადება მისცეს სასურსათო კომიტეტს დაურიგოს ნავთის მცხოვრებთ, თუ მისი მარაგი მოიპოვება.

## საბჭოთა რუსეთში

რუმინეთთან მოლაპარაკება.

ოდესა. თებერვლის 27. რუმინეთ-რუსეთის მოლაპარაკება უკანასკნელ ხანებში კარგად მიმდინარეობს.

არ უნდათ.

მოსკოვი. თებ. 28. ინგლისის მადაროების მეპატრონეთ არ უნდათ დააკმაყოფილონ მადაროებში მომუშავეთა მოთხოვნა ძირითად ჯამაგირის ხელშეუხებლად დაცვის შესახებ.

პოლონეთის გლეხები ბანკების წინააღმდეგ.

მოსკოვი. პოლონეთის მუშებმა 14 დღით საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს.

იტალიელი მეზღვაურები საბჭოთა რუსეთის შესახებ.

მოსკოვი. მარტის 1. იტალიის მეზღვაურები, რომლებიც საბჭოთა რუსეთიდან იტალიას დაბრუნდნენ ამბობენ, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობას მხარს უჭერს შეგნებული მუშები და გლეხებიო.

ბოლშევიკების დევნა იაპონიაში.

მოსკოვი. მარტ. 2. იაპონიის მთავრობა ჩხრეკს და აპატიმრებს იაპონიის მუშებს. აგრეთვე შლის მუშათა ორგანიზაციებს და აბრალებს მათ ბოლშევიკობას.

გერმანელთა შავი ძალა.

მოსკოვი. მარტის 1. ბერლინში მემამულეთა შვილებმა პაგრომი მოახდინეს. მრავალი მოკლულია, რამდენიმესი ებრაელი ნაცემია.

ხუცების ყუთი.

მოსკოვი. მარტის 2. სოფელ კორჩევში (რჟევის მაზრა) პრეობრაჟენის ეკლესიაში ნახეს 17 სკივრი და ბოჭკა ხავერდის ნაჭრებით, აბრეშუმეულობით, ტყავეულობით და [illegible] ყუთში იყო აგრეთვე ოქროსი და ბრილიანტის ნივთებიც.

მოლაპარაკება რუმინეთთან.

ოდესა. თებ. 28. (რადიო). პოლონეთის სამხედრო მინისტრმა სახნოვსკიმ გამოსთქვა თავის განცვიფრება იმის გამო, რომ რუმინია აჭიანურებს სამშვიდობო მოლაპარაკებას საბჭოთა რუსეთთან. მისი აზრით ძალიან სამწუხარო იქნება თუ რუმინია ძველი მთავრობის შეცდომას გაიმეორებს და კვლავ არ ისარგებლებს კარგი შემთხვევით.

დროა ზავი შეიკრას.

მოსკოვი. რუმინეთის მთავრობა დელეგაციას აგზავნის რიგაში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად. დელეგაციას სათავეში უდგია რუმინეთის ვარშავის მთავრობასთან მყოფი ელჩი ფლორესკუ.

## წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“-ს რედაქტორს.

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ დაგიბეჭდოთ შემდეგი განცხადება. მე მივემგზავრები ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფთან ერთად საქართველოს მდგომარეობის შესახებ მოსალაპარაკებლად საქართველოს მთავრობასთან არა ხოლო რევ. ფრაქციის ან კომიტეტის დავალებით, არამედ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელ დღეების ჟამთაცვლობაში რამდენსამე კრებას დავესწარ ქართველი ინტელიგენციისას და ყველგან გამოითქვა აზრი ამგვარი დელეგაციის გაგზავნის საჭიროების შესახებ. მეც პირადად ამ აზრისა ვიყავი ამიტომ მივეცი წინადადება გამგზავრების შესახებ, ღრმად დარწმუნებული, რომ ამ როლის შესრულების პარტიულ საქმეებთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

პატივისცემით გ. ნათაძე.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამოცემა დრ. მთავარი კომიტეტისა.

სტამბა „სახალხო საქმე“ კალოუბნის ქუჩა № 14.